საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1105 2016 წლის 10 ივნისი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე №14-სა და №16-ში მდებარე შენობების ფასადების სრული რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდს (ს/ნ: 404384974) მიეცეს უფლება, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე №14-სა და №16-ში მდებარე შენობების ფასადების სრული რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარის ფარგლებში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტით ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდისათვის (ს/კ: 404384974) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი